№ ჯ-19/01171811143-17

" 11 " 08 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა №39-ში / ქ. თბილისში, დასახლება თემქა, კვარტალი X-ში (საკ. კოდი №01.12.03.002.037) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3099140 15.02.2017წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ სექტორი ნაძალადევი, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა №39-ში / ქ. თბილისში, დასახლება თემქა, კვარტალი X-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

"1-2" მონაკვეთში შეცვლილია მონოლითური კედლების ფორმა და მდებარეობა და -3.70 ნიშნულზე ჩასასვლელი პანდუსის ზომა.
-3.70 ნიშნულზე, "1-2" მონაკვეთში, შემცირებულია ღიობის ზომა და მოწყობილია ლითონის კარი.
შეცვლილია ვიტრაჟების და კარების ნაწილის ვიზუალი, ზომა, მდებარეობა და რაოდენობა.
+26.80 ნიშნულზე „2-3" მონაკვეთში, „ბ-ბ" ღერძზე შეცვლილია იატაკის ნიშნული და გაუქმებულია გარე კიბე და ბაქანი.
+26.80 ნიშნულზე გადახურვის ნაცვლად მოწყობილია აივანი და ტერასები.
ფასადებზე დამატებით მოწყობილია გამწოვი და საკომუნიკაციო მილები, სარეკლამო ბანერები, ასევე წყალშემკრები მილები და კონდიციონერების აგრეგატები.
ფასადების ღებვა და გათბობა კონდიცირების სისტემები არ შეესაბამება საპროექტოს.
სახურავის პარაპეტზე მოწყობილია ლითონის ფურცლები.
შენობის შიდა სივრცეში დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები.
შეცვლილია: სახურავის პარაპეტის ფორმა და ასევე დამატებით მოწყობილია ლითონის მსუბუქი კონსტრუქციის გადახურვები; კიბის მარშებზე საფეხურების რაოდენობა; ნაწილობრივ რელიეფის ნიშნულები; ნაწილობრივ მოაჯირების ვიზუალი და ზომა.
ობიექტი დასასრულებელია, კერძოდ არ არის მოწყობილი: +0.00 ნიშნულზე „2-3" მონაკვეთში გარე კიბე და ბაქანი მოაჯირებით; ფასადების ნაწილი შესალესი და შესაღებია; -3.70 ნიშნულზე ორსართულიანი პარკირება; ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს "ეიმ ბილდინგ გრუპ"-ს და (ს.კ 416315240); შპს "ეიმ ბილდინგი"-ს (ს.კ 416320314) ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, ანაპის 414-ე დივიზიის ქუჩა №39-ში /ქ. თბილისში, დასახლება თემქა, კვარტალი X-ში (საკ. კოდი №01.12.03.002.037) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №19/01171811143-17 30.06.2017წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე